საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ. თბილისი 10 ივნისი 2016 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს - სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ გამარტივებული შესყიდვის მეთოდით შერჩეულ პრეტენდენტთან - **შპს „ტელკო სისტემს“-სთან** სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით განსაზღვრულ ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

სააგენტოს უფროსის მოადგილე /გ. ჩიფჩიური/

სააგენტოს ეკონომიკური სამმართველოს უფროსი /დ. დაბრუნდაშვილი/

სააგენტოს ეკონომიკური სამმართველოს უფროსი სპეციალისტი /გ. ჭკადუა/

სააგენტოს ეკონომიკური სამმართველოს სპეციალისტი /ლ. ფიოლია/

სააგენტოს ეკონომიკური სამმართველოს უფროსი სპეციალისტი /ი. ციკოლია/

ხელშეკრულება #01/63-16

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

საბიუჯეტო სახსრებიდან საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

ქ. თბილისი **10 ივნისი 2016 წელი**

ერთის მხრივ,

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო, წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის მოადგილის გიორგი ჩიფჩიურის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #42;
საიდენტიფიკაციო კოდი: 204 534 502;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა;
ბანკის კოდი: 220 101 222;
ანგ/ნომერი: 200 122 900;
(შემდგომში „შემსყიდველი“)

და მეორეს მხრივ,

შპს „ტელკო სისტემს“, წარმოდგენილი დირექტორის ირაკლი გულიაშვილის სახით,
მისამართი: ქ.თბილისი, ნუცუბიძის 221კ. 1ა. ბ33;
საიდენტიფიკაციო კოდი: 205203279;
საბანკო რეკვიზიტები: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“;
ბანკის კოდი: UGEBGE22;
IBAN: GE54VT6600001212123602;
(შემდგომში „მიმწოდებელი“)

1. **გამოყენებული ტერმინების განმარტებები**
   ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 **„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“** (შემდგომ - „ხელშეკრულება“) - „შემსყიდველ“ ორგანიზაციასა და „მიმწოდებელს“ შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 **„ხელშეკრულების ღირებულება“** - ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 **„შემსყიდველი ორგანიზაცია“** (შემდგომ „შემსყიდველი“) - ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4 **„მიმწოდებელი“** - ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5 **„დღე“, „კვირა“, „თვე“** - ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. **ხელშეკრულების საგანი**

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს საჭიროებისათვის:

- <u>ტელეფონის აპარატების და კვების ბლოკების შესყიდვა.</u>
- <u>CPV კოდი: 32500000 - სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები და აქსესუარები</u>

2.2 შესყიდვის ობიექტის რაოდენობა და აღწერილობა და ერთეულის ფასი მოცემულია **დანართი #1**-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. **ხელშეკრულების საერთო ღირებულება**

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **1218,00 (ათასორასთვრამეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს.**

3.2 ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს".

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 „შემსყიდველს" ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან მონიტორინგი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებთან.

4.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა შენიშვნის აღმოფხვრა.

4.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

4.4 „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ეკონომიკური სამმართველოს სპეციალისტი - **ლევან ფიოლია.**

5. საქონლის მიწოდების ვადები და პირობები

5.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება მიმწდოებლის მისამართზე, ერთიანად, ხელშეკრულების გაფორმებიდან **5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.**

5.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია „შემსყიდველს" მიაწოდოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო და ახალი საქონელი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება „შემსყიდველისა" და „მიმწოდებლის" უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს საქონლის დასახელება, ერთეულის ღირებულება, ჯამური თანხა, მიღება-ჩაბარების გაფორმების თარიღი და ადგილი.

6.2 საქონლის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირია სააგენტოს ეკონომიკური სამმართველოს სპეციალისტი - **ლევან ფიოლია.**

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2 დაფინანსების წყარო: **2016 წლის საბიუჯეტო ასიგნებები.**

7.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის, „მიმწოდებლის" მიერ წარმოდენილი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე, **წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.**

8. ფასები

8.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

8.2 შესყიდვის ობიექტის ერთეული ფასი მოცემულია **დანართი #1**-ში (ფასების ცხრილი).

8.3 ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებაზე.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით

გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების 0.3%-ის ოდენობით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.3 თუ „მიმწოდებელი“ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

10.3.1 შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და „მიმწოდებელი“ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს **<u>ხელშეკრულების საერთო თანხის 5%-ის ოდენობით.</u>**

10.3.2 ან განუსაზღვროს სამუშაოს დასრულებისათვის დამატებითი გონივრული ვადა, რა ვადაშიც „მიმწოდებელი“ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის, პირგასამტეხლოს ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების 0.3%-ის ოდენობით.

10.4 თუ „მიმწოდებელი“ დამატებით ვადაშიც ვერ მიაწვდის საქონელს, „შემსყიდველი“ წყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას და „მიმწოდებელი“ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაჯარიმდება **<u>ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს ოდენობით.</u>**

10.5 „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

10.5.1 თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

10.5.2 „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში;

10.5.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.6 ზემოთ მითითებულ შემთხვევებში „შემსყიდველი“ ვალდებულია აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

10.7 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლისა ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

13. გამოყენებული სამართალი

13.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14. შეტყობინება

14.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელ. ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

14.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2016 წლის 31 ივლისამდე.**

16. სხვა პირობები

16.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი „მიმწოდებელთან“ და ერთი პირი „შემსყიდველთან“).

16.2 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.3 ხელშეკრულების დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

16.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	შპს „ტელკო სისტემს“
გიორგი ჩიფჩიური	დავაკი გულიაშვილი

ფასების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სრული ფასი
1	ტელეფონის აპარატი ESCENE ES220-PN	ცალი	14	81,05	1134,70
2	ტელოფინის კვების ბლოკი AD-200	ცალი	14	5,95	83,30
	სულ:				1218,00

„შემსყიდველი“

სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული საგენტო

გიორგი ჩიფჩიური

„მიმწოდებელი“

შპს „ტელკო სისტემს“

ირაკლი გულიაშვილი